საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური
GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 01/25836
25/11/2016

25836-01-2-201611251717

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ირმა ბახუტაშვილს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მომართვის /№26950/01, 11.11.2016წ/ პასუხად გაცნობებთ, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არის შემსყიდველი ორგანიზაცია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“ რა თქმა უნდა აღნიშნული გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცალკე მუხლით, რომელიც ბიუჯეტში წარმოდგენილია ,,საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამის“ სახით, რომელშიც, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №114-ე დადგენილებით, თანხა იყო 200000 ლარის ოდენობით, საიდანაც ამ დროისათვის გახარჯულია 175368.32 ლარი.

კონკრეტული ვიდეორგოლი ემსახურება საზოგადოების ინფორმირებულობას ქალაქში განხორციელებული და დასრულებული ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტების შესახებ. ასევე ვიდეორგოლი არის მერიის საქმიანობის ერთგვარი შეჯამება და საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარების ერთ-ერთი ფორმა.

რაც შეეხება დადებითი შედეგების შესახებ კითხვას, გიპასუხებთ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტს აქვს ვალდებულება ქალაქში მიმდინარე და დასრულებულ პროექტებზე ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას. ასევე, მნიშვნელოვანია მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია ბოლო პერიოდში, ანუ 2014-2015-2016 წლებში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

რაც შეეხება თანხებს, სატენდერო დოკუმენტაციაში დეტალურადაა გაწერილი ის მოთხოვნები და თანხა, რაც სჭირდებოდა ხსენებული კლიპის დამზადებასა და გაშუქებას. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ www.spa.ge-ის ვებ-გვერდზე.

ვიდეორგოლი მომზადდა აგვისტოს ბოლოს და ეთერში განთავსებისთვის სატენდერო დოკუმენტაციების მომზადებამ და ტენდერმა მოითხოვა დრო. ასევე, ტარიფების ცვალებადობის გამო ვიდეორგოლის გაშვება მოხდა ოქტომბრის თვეში /ნოემბრიდან სატელევიზიო ტარიფები იმატებს/.

პატივისცემით,

ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური